ოქმი:**ო37. 3725225001**

თარიღი:**13/08/2025**

ოქმი N 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის

2025 წელი, 12 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

15:00 -15:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, ს. ქარცივაძე, ი. თუთბერიძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 25-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 25-ხმით.

დღის წესრიგი

30.1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: მარიამ ჭანტურია
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 25 - ხმით

2. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ მოკლე განცხადება გააკეთა გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა ნ. ასათიანმა, აღნიშნა, რომ წლების წინ რედაქციის

შენობა დაიწვა და მის ადგილას პოლიციის სამხარეო განყოფილების შენობა აშენდა, რამდენჯერმე იყო რედაქციის ამჟამინდელ ოფისში ხანძრის გაჩენის მცდელობები, მისი აზრით ისევ ქალაქის ცენტრში არსებული შენობის დასაკუთრების მიზნით, არსებობს საფრთხე რედაქცია კვლავ ოფისის გარეშე დარჩეს, ითხოვა ღონისძიებების განხორციელება. საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დაავალა საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს ქ. ხომერიკს რედაქტორთან ერთად გაცნობოდა არსებულ დოკუმენტაციას და წარმოედგინა მოსაზრებები აღნიშნულ პრობლემაზე, საკრებულოს მიერ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, მსჯელობის აუცილებლობის თაობაზე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი